დანართი 4

დამტკიცებულია აკადემიური საბჭოს 2020 წლის 8 ოქტომბრის N°17 დადგენილებით

შპს

,,ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი''

პერსონალის ეთიკის

კოდექსი

ბათუმი

2020

სარჩევი

თავი I. ზოგადი დებულებები 4

მუხლი 1. კოდექსის მოქმედების სფერო 4

მუხლი 2. ეთიკის კოდექსის მიზანი 4

მუხლი 3. ეთიკის კოდექსის სამართლებრივი საფუძვლები და ინტერპრეტაცია 4

თავი II. პერსონალის ქცევის სტანდარტი 5

მუხლი 4. პერსონალის საქმიანობის ეთიკური პრინციპები 5

მუხლი 5. კანონიერებისა და საქმიანობის შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად განხორციელების პრინციპი 5

მუხლი 6. პატიოსნებისა და კეთილსინდისიერების პრინციპი 6

მუხლი 7. სუბორდინაციისა და ანგარიშვალდებულების პრინციპი 6

მუხლი 8. პროფესიონალიზმის პრინციპი 7

მუხლი 9. აკადემიური თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპი 7

მუხლი 10. სტუდენტისა და საზოგადოების ინტერესების უპირატესობის პრინციპი 8

მუხლი 11. ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებების პატივისცემის პრინციპი 8

მუხლი 12. შევიწროების დაუშვებლობის პრინციპი 8

მუხლი 13. პატივისცემის, კოლეგიალურობისა და გუნდური მუშაობის პრინციპი 8

მუხლი 14. პოლიტიკური და რელიგიური პროპაგანდის წარმოების დაუშვებლობის პრინციპი 9

მუხლი 15. ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემის პრინციპი 9

მუხლი 16. სასწავლო უნივერსიტეტის რეპუტაციაზე ზრუნვისა და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის პრინციპი 10

მუხლი 17. ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპი 10

მუხლი 18. სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნების პრინციპი 11

მუხლი 19. უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისა და გარემოზე ზრუნვის პრინციპი 11

თავი III. საგანმანათლებლო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული დამატებითი ვალდებულებები 12

მუხლი 20. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ქცევის წესები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას 12

მუხლი 21. საუნივერსიტეტო კვლევის ეთიკის ძირითადი პრინციპები 13

მუხლი 22. პაციენტთან ურთიერთობის ეთიკური სტანდარტი 13

თავი IV. დისტანციურ მუშაობასთან დაკავშირებული ვალდებულებები 13

მუხლი 23. ეთიკის სპეციალური ნორმები დისტანციური მუშაობის პროცესში 13
თავი V. დისციპლინური წარმოება 14
მუხლი 24. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი 14
მუხლი 25. დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღება 15
მუხლი 26. დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანო 15
მუხლი 27. ეთიკის კომისიის შემადგენლობა 16
მუხლი 28. ინტერესთა კონფლიქტი და კომისიის წევრის აცილება 16
მუხლი 29. კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა და კომისიის შემადგენლობის ცვლილება 17
მუხლი 30. კომისიის თავმჯდომარე 17
მუხლი 31. დისციპლინური წარმოების წესი 17
მუხლი 32. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების, დისციპლინური სახდელის დაკისრებისა და გაუქმების წესი 18
მუხლი 33. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება 20
მუხლი 34. საჩივრის განმილველი კომისიის შემადგენლობა დამტკიცება 20
მუხლი 35. საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი 20
მუხლი 36. დისციპლინური წარმოების კონფიდენციალობა 21
თავი VI. დასკვნითი დებულებები 21
მუხლი 37. ეთიკის საბჭო 21
მუხლი 38. დებულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი 22

თავი I. ზოგადი დებულებები

მუხლი 1. კოდექსის მოქმედების სფერო

1. შპს ,,ბაუ ინთერნეიშენალ უნივერსითი, ბათუმი"-ს (შემდეგში - ,,სასწავლო უნივერსიტეტი") პერსონალის ეთიკის კოდექსი (შემდეგში - ,,ეთიკის კოდექსი") ადგენს სასწავლო უნივერსიტეტში დასაქმებული პერსონალის ქცევის ეთიკურ პრინციპებსა და მათი დარღვევის შედეგებს.

2. სასწავლო უნივერსიტეტში დასაქმებულ პერსონალად ითვლება და შესაბამისად, ეთიკის კოდექსის მოთხოვნები ვრცელდება, როგორც სასწავლო უნივერსიტეტთან შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში მყოფ, აგრეთვე, მომსახურების ხელშეკრულების საფუძველზე ან/და ნებისმიერი სხვა საფუძვლით სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობაში ჩართულ პირებზე.
3. ეთიკის კოდექსის მე-3 თავით დადგენილი მოთხოვნები, სხვა მუხლებით დადგენილ მოთხოვნებთან ერთად, ვრცელდება მხოლოდ სასწავლო უნივერსიტეტში დასაქმებულ აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე, რომლებიც ჩართულნი არიან საგანმანათლებლო-კვლევით საქმიანობაში.
4. ეთიკის კოდექსი საჯაროა და მისი მოთხოვნების შესრულება სავალდებულოა დასაქმებული პერსონალისათვის, ამავდროულად, იგი წარმოადგენს სასწავლო უნივერსიტეტსა და დასაქმებულ პირს შორის არსებული სამართლებრივი ურთიერთობის მარეგულირებელი დოკუმენტის არსებით შემადგენელ ნაწილს.
5. ეთიკის კოდექსის მოთხოვნები ვრცელდება დასაქმებულის ისეთი ქცევის მიმართაც, რომლებიც კოდექსში არ არის პირდაპირ მოხსენიებული, თუმცა, თავისი შინაარსით გამომდინარეობს ამ კოდექსის პრინციპებიდან.
6. ეთიკის კოდექსის მოქმედება არ ვრცელდება „პლაგიატის თავიდან არიდების, აღმოჩენისა და მასზე რეაგირების წესი"-თ განსაზღვრულ პლაგიატთან დაკავშირებულ დისციპლინურ საქმისწარმოებაზე.

მუხლი 2. ეთიკის კოდექსის მიზანი

1. ეთიკის კოდექსის მიზანია სასწავლო უნივერსიტეტში მაღალი პროფესიული და ზნეობრივი სტანდარტების დამკვიდრება, აგრეთვე, პატივისცემაზე დაფუძნებული კოლეგიალური სამუშაო გარემოს შექმნა.

მუხლი 3. ეთიკის კოდექსის სამართლებრივი საფუძვლები და ინტერპრეტაცია

1. ეთიკის კოდექსი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, „უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის, სხვა შიდასახელმწიფოებრივი და საერთაშორისო აქტების, უმაღლესი განათლების სფეროში არსებული საუკეთესო პრაქტიკისა და ეთიკის ნორმების იმპლემენტაციის შესახებ გაიდლაინების საფუძველზე.
2. ეთიკის კოდექსის ნორმების ინტერპრეტაცია უნდა განხორციელდეს ამ მუხლის 1-ელ პუნქტში აღნიშნული სამართლებრივი საფუძვლების შესაბამისად იმგვარად, რომ მიღწეულ იქნეს ეთიკის კოდექსის მიზნები.

თავი II. პერსონალის ქცევის სტანდარტი

მუხლი 4. პერსონალის საქმიანობის ეთიკური პრინციპები

1. სასწავლო უნივერსიტეტის პერსონალი იზიარებს და ხელმძღვანელობს შემდეგი პრინციპებით:
   i. კანონიერება და საქმიანობის შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად განხორციელება;
   ii. პატიოსნება და კეთილსინდისიერება;

iii. სუბორდინაცია და ანგარიშვალდებულება;
iv. პროფესიონალიზმი;
v. აკადემიური თავისუფლება და კეთილსინდისიერება;
vi. სტუდენტისა და საზოგადოების ინტერესების უპირატესობა;
vii. ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებების პატივისცემა;
viii. შევიწროების დაუშვებლობა;
ix. პატივისცემა, კოლეგიალურობა და გუნდური მუშაობა;
x. პოლიტიკური და რელიგიური პროპაგანდის წარმოების დაუშვებლობა;
xi. ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემა;
xii. სასწავლო უნივერსიტეტის რეპუტაციაზე ზრუნვა და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვა;
xiii. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და პერსონალური მონაცემების დაცვა;
xiv. სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნება;
xv. უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფა და გარემოზე ზრუნვა.

მუხლი 5. კანონიერებისა და საქმიანობის შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად განხორციელების პრინციპი

1. დასაქმებული ვალდებულია თავისი საქმიანობა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის, სავალდებულოდ შესასრულებელი საერთაშორისო და შიდა ნორმატიული აქტების შესაბამისად.
2. დასაქმებული ვალდებულია იცნობდეს მასზე დაკისრებულ ფუნქციებთან დაკავშირებულ ზოგად საკანონმდებლო და შიდა ნორმატიულ მოთხოვნებს, თავის მხრივ, სასწავლო უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს დასაქმებულისათვის ამგვარი ინფორმაციის მიწოდება და სხვა საჭირო ღონისძიებების განხორციელება.
3. დასაქმებული ვალდებულია საკანონმდებლო და შიდა ნორმატიულ მოთხოვნებთან დაკავშირებული ნებისმიერი კითხვისა და გაურკვევლობის არსებობის შემთხვევაში, მიმართოს და მიიღოს კონსულტაცია სასწავლო უნივერსიტეტის შესაბამისი იურიდიული ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეულისაგან.
4. საკანონმდებლო და შიდა ნორმატიული მოთხოვნების არცოდნა არ ათავისუფლებს დასაქმებულს პასუხისმგებლობისგან.

მუხლი 6. პატიოსნებისა და კეთილსინდისიერების პრინციპი

1. დასაქმებული ვალდებულია თავისი საქმიანობა განახორციელოს პატიოსნად და კეთილსინდისიერად.
2. დასაქმებულის მიერ თავისი საქმიანობის პატიოსნად და კეთილსინდისიერად შესრულება გულისხმობს მასზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვნად შესრულებას პირდაპირ დადგენილი ყველა ვალდებულების გათვალისწინებით, ამავდროულად შინაგანი რწმენით, რომ მის მიერ განხორციელებული ქმედებები მართებული და მოთხოვნების შესაბამისია.

3. დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისაგან თავის არიდების მიზნით, დაუშვებელია დასაქმებულმა ისარგებლოს საკანონმდებლო თუ შიდა ნორმატიული აქტის ხარვეზით, აგრეთვე, ნებისმიერი სხვა გარემოებით, რომელიც მას ობიექტურად ანიჭებს ამგვარ შესაძლებლობას.
4. თუ დასაქმებულისათვის მასზე დაკისრებული ვალდებულების შინაარსი ბუნდოვანია, ეს არ უნდა იქნეს გამოყენებული მისი ფუნქციების განხორციელებისაგან თავის შეკავების საფუძვლად, არამედ, ის ვალდებულია შესაბამისი განმარტების მოთხოვნით მიმართოს თავის უშუალო ხელმძღვანელს.

მუხლი 7. სუბორდინაციისა და ანგარიშვალდებულების პრინციპი

1. დასაქმებული ვალდებულია დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურით დადგენილი სუბორდინაციისა და ანგარიშვალდებულების წესები.
2. დასაქმებული ვალდებულია ნებისმიერი საკითხი, რომელიც, სასწავლო უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით ან/და საქმიანობის ჩვეული პრაქტიკით, საჭიროებს რევიზიას, შეათანხმოს შესაბამის უფლებამოსილ პირთან.
3. სასწავლო უნივერსიტეტში მიმდინარე სამსახურებრივი კომუნიკაცია და საქმის დანაწილება უნდა შეესაბამებოდეს სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურით დადგენილ სუბორდინაციისა და ანგარიშვალდებულების წესებს.
4. სასწავლო უნივერსიტეტის ორგანიზაციული სტრუქტურით დადგენილი სუბორდინაციისა და ანგარიშვალდებულების წესების დარღვევა არ ჩაითვლება წინამდებარე პრინციპის დარღვევად, თუ ამგვარი ქმედება გამოწვეულია დასაქმებულის მიერ თავისი უფლებებისა და კანონიერი ინტერესების დაცვით ან/და იგი გამართლებულია სხვა ობიექტური გარემოებებით.
5. დასაქმებული ვალდებულია მკაცრად დაიცვას ანგარიშვალდებულების წესი და რეგულარულად მოახდინოს შესაბამისი უფლებამოსილი ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეულის ან/და პირის მიმართ განხორციელებული საქმიანობის შესახებ ანგარიშის წარდგენა.

მუხლი 8. პროფესიონალიზმის პრინციპი

1. დასაქმებული ვალდებულია თავისი საქმიანობა განახორციელოს მისი პროფესიისათვის დადგენილი მაღალი პროფესიული სტანდარტების შესაბამისად.
2. თუ მისთვის დაკისრებული ფუნქციების ინდივიდუალურად განხორციელებისათვის დასაქმებულს არ გააჩნია სათანადო ცოდნა და უნარ-ჩვევები, იგი ვალდებულია თავიდანვე განაცხადოს ამის შესახებ, თავის მხრივ, სასწავლო უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას დაეხმაროს დასაქმებულს კომპეტენციის ამაღლებაში.
3. დასაქმებული ვალდებულია მისთვის დაკისრებული ფუნქციების განხორციელებისას გამოიჩინოს განსაკუთრებული პასუხისმგებლობა და გულმოდგინება.

მუხლი 9. აკადემიური თავისუფლებისა და კეთილსინდისიერების პრინციპი

1. დასაქმებული ვალდებულია მკაცრად დაიცვას საგანმანათლებლო ან/და კვლევით საქმიანობაში ჩართული სხვა პირის აკადემიური თავისუფლების პრინციპი, რაც

გულისხმობს, რომ დაუშვებელია მის საქმიანობაში პირდაპირი ან/და ირიბი ჩარევა ან/და მასზე რაიმე ზეგავლენის მოხდენის მცდელობა ან/და მისი რაიმე ფორმით შეზღუდვა, გარდა, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი გამონაკლისებისა.

2. საგანმანათლებლო ან/და კვლევით საქმიანობაში ჩართული დასაქმებული ვალდებულია თავისი საქმიანობა განახორციელოს აკადემიური კეთილსინდისიერების საერთაშორისოდ დადგენილი მაღალი სტანდარტის დაცვით, თავის მხრივ, სასწავლო უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპის დარღვევის პრევენციისათვის შეიმუშაოს შესაბამისი მექანიზმები, მოახდინოს მათი აქტიური იმპლემენტაცია და უზრუნველყოს შესაბამისი პირების ინფორმირებულობა.
3. საგანმანათლებლო ან/და კვლევით საქმიანობაში ჩართული დასაქმებული ვალდებულია მკაცრად დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტში დადგენილი საგანმანათლებლო-კვლევითი პროცესის ორგანიზაციული და მაღალი ხარისხის სწავლების უზრუნველსაყოფად დაგენილი მოთხოვნები.

მუხლი 10. სტუდენტისა და საზოგადოების ინტერესების უპირატესობის პრინციპი

1. დასაქმებული ვალდებულია თავისი საქმიანობის განხორციელებისას იხელმძღვანელოს სტუდენტისა და საზოგადოების ლეგიტიმური ინტერესების საფუძველზე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირების ინტერესებზე მაღლა.
2. სასწავლო უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას მუდმივად იზრუნოს სტუდენტზე მორგებული საგანმანათლებლო-კვლევითი პროგრამების შემუშავებასა და სივრცის მოწყობაზე, ამავდროულად, თავისი საქმიანობის ფარგლებში, საზოგადოებაში დადებითი ზეგავლენის მოხდენის მიზნით, განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.
3. სტუდენტის მიმართ ნებისმიერი შემზღუდავი შინაარსის ქმედების განხორციელებისას, შეზღუდვის საფუძვლების ლეგიტიმურობისა და მისი პროპორციულობის მტკიცების ტვირთი აწევს გადაწყვეტილების მიმღებ მხარეს.

მუხლი 11. ადამიანის უფლებებისა და დემოკრატიული საზოგადოების ღირებულებების პატივისცემის პრინციპი

1. დასაქმებული ვალდებულია პატივი სცეს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიულ საზოგადოებაში დამკვიდრებულ ღირებულებებს.
2. დაუშვებელია საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებული ადამიანის უფლებებისა ან/და დემოკრატიულ საზოგადოებაში დამკვიდრებული ღირებულებების უგულებელყოფა ან/და რაიმე ფორმით შეზღუდვა, გარდა კანონით დადგენილი შემთხვევებისა. ამ შემთხვევაში, აუცილებელია ურთიერთობის თითოეული მონაწილის ინფორმირება შეზღუდვის არსის, მისი საფუძვლებისა და შეზღუდვის ხანგრძლივობის შესახებ.

მუხლი 12. შევიწროების დაუშვებლობის პრინციპი

1. დაუშვებელია დასაქმებულის მიერ ნებისმიერი ნიშნით პირის დევნა, იძულება ან/და პირის მიმართ არასასურველი ქცევა, რომელიც მიზნად ისახავს ან იწვევს პირის ღირსების შელახვასა და მისთვის დამაშინებელი, მტრული, დამამცირებელი, ღირსების შემლახველი ან შეურაცხმყოფელი გარემოს შექმნას.

მუხლი 13. პატივისცემის, კოლეგიალურობისა და გუნდური მუშაობის პრინციპი

1. დასაქმებულია ვალდებულია თავისი საქმიანობის განხორციელებისას იყოს თავაზიანი, პატივისცემით ეპყრობოდეს სხვებს, იჩენდეს კოლეგიალურობას და იზიარებდეს გუნდურად მუშაობის პრინციპებს.
2. დასაქმებული ვალდებულია პატივი სცეს სხვათა მოსაზრებებს, შეხედულებებსა და იდეებს, ამავდროულად, უარი განაცხადოს მათ გაზიარებაზე, თუმცა ნებისმიერი სახის უარყოფა, კრიტიკა ან/და აზრი უნდა გამოთქვას კორექტულად, იმგვარად, რომ არ დაუშვას პირისათვის შეურაცხყოფის მიყენება, მათ შორის კოლეგის მიერ შეცდომის დაშვების შემთხვევაშიც.
3. დასაქმებული, შეძლებისამებრ საკუთარ გამოცდილებას უნდა უზიარებდეს სხვა კოლეგებს, რომელთა სამუშაო ფუნქციები შესაძლებელია ამ ინფორმაციას საჭიროებდეს, ამავდროულად, დაუშვებელია წინასწარი განზრახვით თანამშრომლის შეცდომაში შეყვანა ან მისგან ისეთი მომსახურებისა თუ დახმარების გაწევის მოთხოვნა, რომელმაც შესაძლებელია ხელი შეუშალოს მისი ძირითადი ვალდებულებების შესრულებას.
4. სასწავლო უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას ხელი შეუწყოს თანამშრომლებს შორის მყარი სოციალური კავშირების ჩამოყალიბებას, იდეებისა და გამოცდილების გაზიარებისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნასა და გუნდური მუშაობის კულტურის დანერგვას.

მუხლი 14. პოლიტიკური და რელიგიური პროპაგანდის წარმოების დაუშვებლობის პრინციპი

1. სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობის ფარგლებში, დაუშვებელია ნებისმიერი სახის პოლიტიკური და რელიგიური პროპაგანდის წარმოება.
2. პროპაგანდის წარმოებად არ მიიჩნევა ისეთი ქმედებების განხორციელება ან წახალისება, რომელიც თანხვედრაშია ან/და გამომდინარეობს სასწავლო უნივერსიტეტის დეკლარირებული მიზნებიდან და საქმიანობიდან.
3. საგანმანათლებლო-კვლევით საქმიანობაში, განსახილველი იდეები და მოსაზრებები სტუდენტს უნდა მიეწოდებოდეს მხოლოდ სამეცნიერო მიზნებისათვის, აკადემიური ნეიტრალიზმის პრინციპის დაცვით.
4. დასაქმებულის მიერ სასწავლო უნივერსიტეტის ტერიტორიის გარეთ, სამუშაო ვალდებულებებისაგან თავისუფალ დროს გამოთქმული კერძო მოსაზრებები არ მიიჩნევა სასწავლო უნივერსიტეტის პოზიციად და იგი შესაძლებელია არ ემთხვეოდეს უნივერსიტეტის მიერ დეკლარირებულ ღირებულებებს, თუმცა, ამგვარი ქმედება არ უნდა არღვევდეს ეთიკის კოდექსით გათვალისწინებულ სხვა მოთხოვნებს.
5. სასწავლო უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით, სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიური თავისუფლებისა და პოლიტიკური ნეიტრალიზმის შენარჩუნების მიზნით, შესაძლებელია დაწესდეს პოლიტიკურ თანამდებობაზე არჩეული/დანიშნული პირის სასწავლო უნივერსიტეტის მმართველობით თანამდებობაზე არჩევის შეზღუდვა.

მუხლი 15. ინტელექტუალური საკუთრების პატივისცემის პრინციპი

1. დასაქმებული ვალდებულია პატივი სცეს სხვების ინტელექტუალურ საკუთრებას და მკაცრად დაიცვას როგორც საავტორო და მომიჯნავე უფლებების შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნები, აგრეთვე საერთაშორისო სტანდარტებით დადგენილი საუკეთესო პრაქტიკა.
2. სასწავლო უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას ინტელექტუალური საკუთრების მიმართ დასაქმებულთა ცნობიერების ამაღლების მიზნითა და ინტელექტუალური საკუთრების უფლების დარღვევის პრევენციისათვის, შეიმუშაოს და განახორციელოს შესაბამისი ღონისძიებები.

მუხლი 16. სასწავლო უნივერსიტეტის რეპუტაციაზე ზრუნვისა და ინტერესთა კონფლიქტის გამორიცხვის პრინციპი

1. დასაქმებული ვალდებულია იზრუნოს სასწავლო უნივერსიტეტის რეპუტაციის შენარჩუნებასა და გაუმჯობესებაზე, ამავდროულად, დასაქმებულმა არ უნდა განახორციელოს ისეთი არალეგიტიმური ქმედება, რომელიც შელახავს ან/და საფრთხეს შეუქმნის სასწავლო უნივერსიტეტის რეპუტაციას.
2. დასაქმებული ვალდებულია იზიარებდეს სასწავლო უნივერსიტეტის მისიასა და მისი საქმიანობის ფუნდამენტურ პრინციპებს, ამავდროულად, სასწავლო უნივერსიტეტის სწავლებისა და კვლევის ძირითად ღირებულებებსა და ამ კოდექსში მითითებულ ქცევის ეთიკურ სტანდარტებს.
3. დასაქმებული ვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, წინასწარ გაამხილოს იგი, ხოლო შესაბამისი ქმედება განახორციელოს მხოლოდ უფლებამოსილი ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეულის ან/და პირის თანხმობის არსებობის შემთხვევაში.
4. ინტერესტთა კონფლიქტად მიიჩნევა დასაქმებულის ქონებრივი ან სხვა პირადი ინტერესის დაპირისპირება სასწავლო უნივერსიტეტის ინტერესებთან.

მუხლი 17. ინფორმაციის ხელმისაწვდომობისა და პერსონალური მონაცემების დაცვის პრინციპი

1. დასაქმებული ვალდებულია, სასწავლო უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, უზრუნველყოს შესაბამისი სამსახურებრივი ინფორმაციის უფლებამოსილი პირებისათვის ხელმისაწვდომობა და მათი ინფორმირებულობა.
2. დასაქმებული ვალდებულია ნებისმიერი ფორმით გამჟღავნებისაგან მკაცრად დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტთან დაკავშირებული ნებისმიერი სახის ინფორმაცია, მათ შორის პერსონალური მონაცემები, რომელიც არ არის საჯარო (კონფიდენციალური ინფორმაცია).

3. კონფიდენციალური ინფორმაციის დაცვის მიზნით, დაუშვებელია ამგვარი ინფორმაციის მიმართ დაუდევარი ან/და გაუფრთხილებელი მიდგომა, რომელიც ქმნის მისი გამჟღავნების საშიშროებას.
4. აკრძალულია სტუდენტის თანხმობის გარეშე მისი აკადემიური მოსწრებისა თუ დისციპლინარულ წარმოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის გახმაურება, მათ შორის სხვა სტუდენტისა თუ სტუდენტის ოჯახის წევრებისთვის, გარდა მისი კანონიერი წარმომადგენლისა.
5. ინფორმაციული ტექნოლოგიების, კომპიუტერული რესურსებისა თუ სასწავლო პროცესის მართვის სისტემის გამოყენებისას, დასაქმებული ვალდებულია დაიცვას ინფორმაციული უსაფრთხოების საყოველთაოდ მიღებული წესები და უნივერსიტეტის ინფორმაციული უსაფრთოების წესის მოთხოვნები.
6. სასწავლო უნივერსიტეტი ზრუნავს პერსონალური მონაცემების დაცვაზე და იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს ამგვარი ინფორმაციის დამუშავებაში ჩართული დასაქმებული პირების ინფორმირება საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი მოთხოვნების შესახებ.

მუხლი 18. სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შენარჩუნების პრინციპი

1. დასაქმებული ვალდებულია სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის გამოყენებისას იხელმძღვანელოს შესაბამისი ინსტრუქციებითა და სტანდარტებით.
2. დასაქმებული ვალდებულია გაუფრთხილდეს სასწავლო უნივერსიტეტის მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას, არ დაუშვას მისი დაზიანება, არამიზნობრივი გამოყენება ან/და განადგურება და ჩვეულებრივი ცვეთის გათვალისწინებით შეინარჩუნოს მისი პირვანდელი მდგომარეობა.

მუხლი 19. უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფისა და გარემოზე ზრუნვის პრინციპი

1. დასაქმებული ვალდებულია მკაცრად დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის შიდა უსაფრთხოების ნორმები და ჰიგიენის წესები, რათა თავისი ქმედებით საფრთხე არ შეუქმნას სხვა პირთა ჯანმრთელობასა და სიცოცხლეს.
2. დასაქმებული ვალდებულია, თავისი კომპეტენციის ფარგლებში, სასწავლო უნივერსიტეტის მიერ დაგეგმილი ღონისძიებების ან/და თავისი საქმიანობის განხორციელებისას, არ დაუშვას გარემოს დაბინძურება ან/და გარემოსათვის ზიანის სხვაგვარად მიყენება.
3. სასწავლო უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით, დამატებით განისაზღვრება ლაბორატორიული და კლინიკური საგანმანათლებლო-კვლევით პროცესებში ჩართული პირებისათვის უსაფრთხო სამუშაო გარემოს უზრუნველყოფის ვალდებულებები.

თავი III. საგანმანათლებლო-კვლევით საქმიანობასთან დაკავშირებული დამატებითი ვალდებულებები

მუხლი 20. აკადემიური და მოწვეული პერსონალის ქცევის წესები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას

1. ამ მუხლით დადგენილი დამატებითი წესები ვრცელდება უნივერსიტეტის აკადემიურ და მოწვეულ პერსონალზე, მათ მიერ სასწავლო უნივერსიტეტში სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის პროცესში. სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის პროცესად მიიჩნევა აკადემიური/მოწვეული პერსონალის ხელშეკრულების მოქმედების მთელი პერიოდი.
2. ამ კოდექსით გათვალისიწნებული წესების გარდა, უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალსა და მოწვეულ ლექტორებს ევალებათ:

   ა) უზრუნველყონ სასწავლო პროცესის განმავლობაში აკადემიური იერსახის შენარჩუნება სტუდენტებთან და კოლეგებთან კომუნიკაციის პერიოდში;

   ბ) პატივი სცენ სტუდენტის დასაბუთებულ უარს, პატივი სცეს იდეას, რომელსაც აკადემიური/მოწვეული პერსონალი აყენებს სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის პროცესში;

   გ) სტუდენტის შეფასება დააფუძნოს მხოლოდ მის აკადემიურ მოსწრებას სასწავლო კურსის პროგრამის მოთხოვნების დაცვით;

   დ) სამეცნიერო-პედაგოგიური საქმიანობის პროცესში არ გამოხატოს ფავორიტიზმი და გამორიცხოს სტუდენტების პოზიტიური თუ ნეგატიური გამორჩევა;

   ე) სასწავლო მეცადინეობებზე თავი შეიკავოს პოლიტიკური და რელიგიური შეხედულებების გამოხატვისგან, თუ აღნიშნული არ გამომდინარეობს სასწავლო კურსის შინაარსიდან და არ ემსახურება ამ კურსის სწავლის შედეგების მიღწევას;

   ვ) სასწავლო მეცადინეობებზე თეორიები, შეხედულებები და კონცეფციები წარმოადგინოს აკადემიური ობიექტურობის და სამეცნიერო კრიტიკულობის დაცვით, საკუთარი პრეფერენციების დემონსტრირების გარეშე;

   ზ) თავი შეიკავოს აუდიტორიაში სტუდენტების, კოლეგებისა და უნივერსიტეტის კრიტიკისგან, შედარებებისა თუ სხვა არაარგუმენტირებული დასკვნების გამოტანისგან, განზოგადებულად თუ ინდივიდუალიზებულად;

   თ) სტუდენტთან კომუნიკაციის დროს შეინარჩუნოს აკადემიური ფარგლები და გამორიცხოს სამეცნიერო-პედაგოგიურ საქმიანობაში ინტერესთა კონფლიქტი;

   ი) იზრუნოს საკუთარი პიროვნული და სამეცნიერო ავტორიტეტის განმტკიცებაზე, სტუდენტებთან, კოლეგებთან და საუნივერსიტეტო საზოგადოების სხვა წევრებთან;

   კ) იზრუნოს აკადემიური პატიოსნების ღირებულებების დამკვიდრებაზე აკადემიურ საზოგადოებაში;

   ლ) შეინარჩუნოს აკადემიური პატიოსნება და დაიცვას სასწავლო უნივერსიტეტის შიდა ნორმატიული აქტებით განსაზღვრული აკადემიური პატიოსნების პრინციპები, ამავდროულად, არ დაუშვას პლაგიარიზმი, მისინტერპრეტაცია და მონაცემების დამახინჯება სწავლებისა და კვლევის პროცესში.

მუხლი 21. საუნივერსიტეტო კვლევის ეთიკის ძირითადი პრინციპები

1. სასწავლო უნივერსიტეტში კვლევითი საქმიანობა წარიმართება კვლევის თავისუფლების, კვლევის პატიოსნებისა და კვლევის ეთიკის პრინციპების დაცვით.

2. თანამშრომელი მკვლევარი ვალდებულია დაიცვას კვლევის პატიოსნების პრინციპი, რაც მოიცავს ავტორობის აღიარების, ციტირების წესის, სანდო და სათანადო კვლევითი მეთოდებისა და წყაროების, მონაცემების დამუშავებისა და ინფორმაციის წარმოდგენის მართებული წესის გამოყენებას,კვლევის ჰიპოტეზის ობიექტურ შეფასებას.
3. ამ კოდექსის გარდა, სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეიმუშავოს სპეციალალური ეთიკის წესები მის მიერ განხორციელებული კონკრეტული კვლევის საჭიროებიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, რომლის შესრულების ვალდებულება ვრცელდება ამ კვლევაში ჩართულ პირებზე.

მუხლი 22. პაციენტთან ურთიერთობის ეთიკური სტანდარტი

1. დასაქმებული თითოეული თანამშრომელი, რომელსაც სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობიდან გამომდინარე, სასწავლო უნივერსიტეტის სახელით შეხება აქვს სამედიცინო საქმიანობასთან, ვალდებულია დაიცვას პაციენტის, მისი ოჯახის წევრებისა და სხვა პირების საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი უფლებები და ამავდროულად, მისი საქმიანობა წარმართოს ამ უფლებათა პრიორიტეტულობის აღიარებით.
2. ამ კოდექსის გარდა, სასწავლო უნივერსიტეტი უფლებამოსილია შეიმუშავოს სპეციალალური ეთიკის წესები მის მიერ განხორციელებული კონკრეტული კლინიკური საქმიანობიდან და თავისებურებებიდან გამომდინარე, რომლის შესრულების ვალდებულება ვრცელდება ამ საქმიანობაში ჩართულ პირებზე.

თავი IV. დისტანციურ მუშაობასთან დაკავშირებული ვალდებულებები

მუხლი 23. ეთიკის სპეციალური ნორმები დისტანციური მუშაობის პროცესში

1. ამ მუხლით დადგენილი წესები მოქმედებს სასწავლო უნივერსიტეტის საქმიანობისა და სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში წარმართვის მთელი პერიოდისათვის.
2. დასაქმებულმა დისტანციური მუშაობის პროცესში შესაძლებლობის მიხედვით უნდა უზრუნველყოს საკუთარი საქმიანობის უწყვეტობა.
3. დასაქმებული ვალდებულია აცნობოს სასწავლო უნივერსიტეტს დისტანციურ რეჟიმში საქმიანობისთვის აუცილებელი რესურსების ხელმისაწვდომობის, ასევე თავისი ფუნქციების შესასრულებლად აუცილებელი ინფორმაციისა თუ დოკუმენტაციის საჭიროებაზე. სასწავლო უნივერსიტეტი იღებს ვალდებულებას უზრუნველყოს თანამშრომელი აუცილებელი დოკუმენტაციითა და ინფორმაციით, ასევე შესაძლებლობის შემთხვევაში, უზრუნველყოს თანამშრომელი სხვა აუცილებელი რესურსით.
4. დისტანციური მუშაობისას სინქრონული სამუშაოს შესრულებისას, რომელიც გულისხმობს რამდენიმე ადამიანის ერთდროულ კომუნიკაციას, თანამშრომელმა უნდა დაიცვას უნივერსიტეტის შინაგანაწესით დადგენილი სამუშაო დრო. ასინქრონული მუშაობისას, რომელიც არ გულისხმობს რამდენიმე ადამიანის ერთდროულ კომუნიკაციას, დასაქმებულის სამუშაო პერიოდ(ებ)ი უნდა შეთანხმდეს მის უშუალო ხელმძღვანელთან.
5. დისტანციური მუშაობის საკოლაბორაციო პლატფორმისა და სხვა ინსტრუმენტების გამოყენებისას, თანამშრომლებმა უნდა დაიცვას საინფორმაციო უსაფრთხოების ზოგადი

წესები, არ დაუშვან სამსახურებრივი გამოყენებისთვის განკუთვნილ პლატფორმაზე და ინსტრუმენტებზე არაავტორიზებული პირების წვდომა.

6. ინტერნეტ ქსელის, ელექტრონული ფოსტისა და სხვა საკომუნიკაციო საშუალებათა არაავტორიზებული წვდომისგან დაცვის პასუხისმგებლობა ეკისრება უნივერსიტეტის თანამშრომელს. საჭიროების შემთხვევაში, სასწავლო უნივერსიტეტი უზრუნველყოფს თანამშრომელთა ინფორმირებულობას უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად აუცილებელი ღონისძიებების შესახებ.
7. თანამშრომლებს ეკრძალებათ დისტანციური მუშაობის ამსახველი ფოტო, ვიდეო და აუდიო მასალების გასაჯაროება, მათი მონაწილე ყველა პირის თანხმობის გარეშე.
8. უნივერსიტეტის საქმიანობისა და სასწავლო პროცესის დისტანციურ რეჟიმში წარმართვა არ ათავისუფლებს სასწავლო უნივერსიტეტის თანამშრომლებს ეთიკის კოდექსის სხვა მუხლებით დადგენილი ნორმების შესრულებისგან, თუ ამგვარი გარემოება სხვაგვარად არ არის მოწესრიგებული წინამდებარე მუხლის ნორმებით ან მათი დაცვა ფაქტობრივად შეუძლებელია.

თავი V. დისციპლინური წარმოება

მუხლი 24. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველი

1. დისციპლინური წარმოების დაწყების საფუძველია:

   ა) წერილობითი საჩივარი დასაქმებულის მიერ ეთიკის კოდექსით ან/და სასწავლო უნივერსიტეტის სხვა შიდა ნორმატიული აქტით განსაზღვრული ვალდებულების დარღვევის შესახებ;

   ბ) მასობრივი ინფორმაციის საშუალებით გავრცელებული ინფორმაცია ან/და სხვა კანონიერი გზით მოპოვებული ისეთი ინფორმაცია, რომელიც შესაძლებელია შეიცავდეს დასაქმებულის მხრიდან ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის ნიშნებს.

მუხლი 25. დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღება

1. ეთიკის კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი ნაწილის „ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული საჩივარი შესაძლებელია მიიღოს სასწავლო უნივერსიტეტის ნებისმიერმა ორგანიზაციულ-სტრუქტურულმა ერთეულმა, რომელიც თავის მხრივ, ვალდებულია იგი გადაუგზავნოს კორესპოდენციის მიღებაზე პასუხისმგებელ ორგანიზაციულ-სტრუქტურულ ერთეულს, რომელიც აღნიშნულ საჩივარს უგზავნის სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს.
2. ეთიკის კოდექსის 24-ე მუხლის 1-ლი პუნქტის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ მოთხოვნის დაყენების უფლება აქვს აკადემიური საბჭოს თითოეულ წევრს.
3. აკადემიური საბჭოს მიერ საჩივრის მიღების ან/და რომელიმე წევრის მიერ დისციპლინური წარმოების დაწყების მოთხოვნის შემთხვევაში, აკადემიური საბჭოს

დებულებით განსაზღვრული წესით მოიწვევა აკადემიური საბჭოს კრება, რომელზეც ამავე დებულებით დადგენილი წესით გაიმართება კენჭისყრა დისციპლინური წარმოების დაწყების საკითხთან დაკავშირებით.

4. დასაქმებული, რომელიც წარმოადგენს აკადემიური საბჭოს წევრს და რომლის წინააღმდეგაც კენჭი ეყრება დისციპლინური წარმოების დაწყების საკითხს, არ მონაწილეობს კენჭისყრაში. ამავდროულად, უზრუნველყოფილი უნდა იყოს კენჭისყრაში მონაწილე პირთა მიერ დაფიქსირებული პოზიციის კონფიდენციალობა.

მუხლი 26. დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანო

1. დისციპლინური წარმოების განმახორციელებელი ორგანოა ეთიკის კომისია, რომლის შემადგენლობასაც, დისციპლინური წარმოების დაწყების შესახებ გადაწყვეტილების მიღების შემდეგ, ამტკიცებს აკადემიური საბჭო.
2. ეთიკის კომისია დისციპლინურ წარმოებას ახორციელებს ეთიკის კოდექსითა და სასწავლო უნივერსიტეტის სხვა შიდა ნორმატიული აქტებით დამოუკიდებლად და მის საქმიანობაში რაიმე ფორმით პირდაპირი ან/და არაპირდაპირი ჩარევა დაუშვებელია.
3. სასწავლო უნივერსიტეტთან შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში მყოფი პირის მიერ კომისიის საქმიანობაში ჩარევის დაუშვებლობის საწინააღმდეგო ქმედების განხორციელება, მოქმედი შიდა ნორმატიული აქტებით დადგენილი წესით, გამოიწვევს მისთვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრებას.

მუხლი 27. ეთიკის კომისიის შემადგენლობა

1. ეთიკის კომისიის შემადგენლობა განისაზღვრება აკადემიური საბჭოს გადაწყვეტილებით.
2. კომისია უნდა შედგებოდეს არანაკლებ 5 წევრისგან, რომელთაგან ერთ წევრს უნდა წარმოადგენდეს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტი ან მის მიერ წარმოდგენილი სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატი, ხოლო არანაკლებ 2 წევრს სასწავლო უნივერსიტეტთან სამართლებრივი კავშირის არმქონე საგანმანათლებლო სივრცეში მიუკერძოებლობით გამორჩეული დამოუკიდებელი მესამე პირები.
3. კომისიის შემადგენლობაში არ შეიძლება შედიოდნენ აკადემიური საბჭოს წევრები, აგრეთვე, ის პირები, რომლებიც რაიმე ფორმით მონაწილეობდნენ პირის წინააღმდეგ დისციპლინური წარმოების დაწყების პროცესში.

მუხლი 28. ინტერესთა კონფლიქტი და კომისიის წევრის აცილება

1. ინტერესთა კონფლიქტად მიიჩნევა კომისიის წევრისა და დისციპლინურ წარმოებაში ჩართული დაინტერესებული პირის ნათესაური ან/და ახლო სოციალური კავშირი, აგრეთვე, სხვა ნებისმიერი ისეთი გარემოება, რომელმაც შესაძლებელია გავლენა მოახდინოს კომისიის წევრის მიუკერძოებლობაზე.
2. ამ მუხლის 1-ლი ნაწილის მიზნებისათვის, ნათესავებად ითვლებიან:
   ა) მეულლე;
   ბ) დანიშნული;
   გ) პირდაპირი ხაზის ნათესავები;
   დ) და-ძმა;

ე) დისშვილები და ძმისშვილები;
ვ) მშობლების და-ძმები;
ზ) დანათესავებულები;
თ) პირები, რომლებიც ხანგრძლივი დროის განმავლობაში ოჯახური ურთიერთობით არიან დაკავშირებულები.

3. ამ მუხლის 1-ლი ნაწილის მიზნებისათვის, ახლო სოციალურ კავშირი მოიცავს კომისიის წევრისა და დაინტერესებული პირის ისეთ სოციალურ კავშირს, რომელმაც შესაძლებელია ეჭვი გააჩინოს კომისიის წევრის მიუკერძოებლობაზე.
4. ინტერესთა კონფლიქტის არსებობის შემთხვევაში, კომისიის წევრი ვალდებულია დაუყოვნებლივ განაცხადოს თვითაცილება.
5. თვითაცილების შესახებ განცხადება წარედგინება სასწავლო უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს, რომელიც მიღებისთანავე ითვლება დაკმაყოფილებულად.
6. კომისიის წევრის დანიშვნის შესახებ ინფორმაციის მიღებიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის განმავლობაში, დისციპლინურ წარმოებაში ნებისმიერი ფორმით ჩართულ დაინტერესებულ პირს, უფლება აქვს აცილება გამოუცხადოს კომისიის წევრს.
7. კომისიის წევრის აცილების საფუძველია ინტერესთა კონფლიქტის არსებობა, ხოლო აცილების შესახებ გადაწყვეტილებას იღებს აკადემიური საბჭო.

მუხლი 29. კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტა და კომისიის შემადგენლობის ცვლილება

1. კომისიის წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საფუძველია:
ა) კომისიის უფლებამოსილების ვადის გასვლა;
ბ) შრომითსამართლებრივი ურთიერთობის შეწყვეტა (სასწავლო უნივერსიტეტთან ასეთი შრომითსამართლებრივი ურთიერთობის არსებობის შემთხვევაში);
გ) თვითაცილება;
დ) აცილება;
ე) უფლებამოსილების შეწყვეტის თხოვნით აკადემიური საბჭოსთვის წერილობითი განცხადების წარდგენა;
ვ) კომისიის წევრის წინააღმდეგ დისციპლინური წარმოების დაწყება;
ზ) სხვა გარემოებები, რომლებიც შეუძლებელს ხდის კომისიის წევრის მიერ თავისი უფლებამოსილების განხორციელებას.
2. კომისიის წევრის უფლებამოსილების ვადაზე ადრე შეწყვეტის შემთხვევაში, კომისიის წევრთა თავდაპირველი რაოდენობა შეივსება აკადემიური საბჭოს მიერ განსაზღვრული პირით/პირებით.
3. კომისიის ახალი წევრების მიმართ იგივე ფორმით მოქმედებს ამ წესით დადგენილი თვითაცილებისა და აცილების ნორმები.

მუხლი 30. კომისიის თავმჯდომარე

1. კომისია თავისი შემადგენლობიდან ხმების სიითი უმრავლესობით ირჩევს თავმჯდომარეს.

2. კომისიის თავმჯდომარე ადგენს კომისიის სხდომაზე განსახილველი საკითხების დღის წესრიგს, უზრუნველყოფს მასში ცვლილებების შეტანას, იწვევს და ხელმძღვანელობს კომისიის სხდომებს, ადგენს და ხელს აწერს სხდომის ოქმს, აგრეთვე, კოორდინაციას უწევს კომისიის მიერ დისციპლინური წარმოების განხორციელებას.
3. კომისიის თავმჯდომარის მიერ უფლებამოსილების შესრულების დროებითი შეუძლებლობის შემთხვევაში, მის უფლებამოსილებას ახორციელებს მისი მოადგილე, რომელიც ინიშნება კომისიის თავმჯდომარის ბრძანებით.

მუხლი 31. დისციპლინური წარმოების წესი

1. ეთიკის კომისია ვალდებულია დისციპლინური წარმოებისას გამოიკვლიოს საქმისათვის მნიშვნელობის მქონე ყველა გარემოება და დისციპლინური სახდელის შესახებ გადაწყვეტილება მიიღოს ამ გარემოებათა შეფასებისა და ურთიერთშეჯერების საფუძველზე.
2. დისციპლინურ წარმოებაში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს ითანამშრომლოს ეთიკის კომისიასთან და წარმოადგინოს მის ხელთ არსებული მტკიცებულებები და საკუთარი მოსაზრებები.
3. საქმის გარემოებებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისია უფლებამოსილია:
   ა) გამოითხოვოს დოკუმენტები;
   ბ) შეაგროვოს ცნობები;
   გ) მოუსმინოს დაინტერესებულ მხარეებს;
   დ) დაათვალიეროს მოვლენის ან შემთხვევის ადგილი;
   ე) დანიშნოს ექსპერტიზა;
   ვ) გამოიყენოს აუცილებელი დოკუმენტები და აქტები;
   ზ) მტკიცებულებათა შეგროვების, გამოკვლევისა და შეფასების მიზნით, მიმართოს საქართველოს კანონმდებლობით დაშვებულ სხვა ზომებს.
4. დისციპლინურ წარმოებაში ჩართულ ყველა დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს ისარგებლოს დუმილის უფლებით, თუმცა, დუმილის უფლება არ ათავისუფლებს მხარეებს დისციპლინური პასუხისმგებლობისაგან.
5. დისციპლინურ წარმოებაში მონაწილე დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს წარადგინოს მტკიცებულებები, აგრეთვე შუამდგომლობები საქმის გარემოებათა გამოკვლევის თხოვნით.
6. შუამდგომლობასთან დაკავშირებით ეთიკის კომისია შუამდგომლობის მიღებიდან 2 (ორი) სამუშაო დღის ვადაში იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
   ა) შუამდგომლობის დაკმაყოფილების შესახებ;
   ბ) შუამდგომლობის დაკმაყოფილებაზე უარის თქმის შესახებ.
7. ეთიკის კომისია არ განიხილავს მტკიცებულებებს, რომლებიც მოპოვებულია საქართველოს კანონმდებლობის მოთხოვნების დარღვევით ან/და არღვევს პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობის უფლებას.

მუხლი 32. კომისიის მიერ გადაწყვეტილების მიღების, დისციპლინური სახდელის დაკისრებისა და გაუქმების წესი

1. კომისია გადაწყვეტილებაუნარიანია თუ მას ესწრება სიითი შემადგენლობის არანაკლებ 2/3.
2. კომისია სიითი შემადგენლობის უმრავლესობით ფარული კენჭისყრით იღებს ერთ-ერთ შემდეგ გადაწყვეტილებას:
   ა) დასაქმებულისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ;
   ბ) დასაქმებულისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრებაზე უარის შესახებ.
3. კომისიის გადაწყვეტილება, მათ შორის დასაქმებულისათვის დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ, მიიღება კრების ოქმით, რომელშიც მიეთითება დასაქმებულისათვის დაკისრებული სახდელის სახე და მოქმედების ვადა.
4. ეთიკის კომისიის კრების ოქმში მიეთითება: დისციპლინური კომიტეტის დასახელება დისციპლინური კომიტეტის სხდომის ადგილი, თარიღი, მისი დაწყების დრო, განხილვის საგანი სხდომის მიმდინარეობა, დისციპლინური კომიტეტის შემადგენლობა, დამსწრეთა ვინაობა, მათი პოზიციები, მათ მიერ წარდგენილი მტკიცებულებები და შესაბამისი არგუმენტაცია, მათ მიერ დაყენებული შუამდგომლობების არსი და მათი განხილვის შედეგები, სხდომაზე მიწვეულ პირთა ვინაობა და მათ მიერ წარმოდგენილი ინფორმაციები, კენჭისყრის შედეგები, დისციპლინური კომიტეტის გადაწყვეტილების შინაარსი, სხდომის დამთავრების დრო.
5. ეთიკის კომისიის კრების ოქმს ხელს აწერს კენჭისყრაში მონაწილე ყველა პირი.
6. ეთიკის კომისია, დისციპლინური გადაცდომის სიმძიმის გათვალისწინებით, უფლებამოსილია გამოიტანოს გადაწყვეტილება დასაქმებულისათვის ერთ-ერთი შემდეგი დისციპლინური სახდელის დაკისრების შესახებ:
   ა) საყვედური;
   ბ) გაფრთხილება;
   გ) დაკავებული თანამდებობიდან გათავისუფლება.
7. სასწავლო უნივერსიტეტის ყველა ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეული ვალდებულია განახორციელოს ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების აღსრულებისათვის საჭირო ღონისძიებები.
8. დისციპლინური სახდელის ვადა შესაძლებელია იყოს არანაკლებ 3 (სამი) თვე და არაუმეტეს 1 (ერთი) წელი. ამ მუხლის მე-5 პუნქტის „გ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში, დაუშვებელია დასაქმებულთან შრომითსამართლებრივი ხელშეკრულების შეწყვეტიდან ეთიკის კომისიის მიერ დადგენილ ვადაში ახალი შრომითსამართლებრივი ხელშეკრულების დადება.
9. დისციპლინური სახდელის არანაკლებ 3 (სამი) თვის მოქმედების შემდეგ, სასწავლო უნივერსიტეტის რექტორი უფლებამოსილია დასაბუთებული ბრძანებით ვადაზე ადრე მოუხსნას დასაქმებულ პირს სახდელი, თუ მან თავი გამოიჩინა, როგორც კეთილსინდისიერმა დასაქმებულმა და ამ პერიოდში არ ჩაუდენია ახალი გადაცდომა.

10. დისციპლინური სახდელის მოქმედების პერიოდში დასაქმებულის მიმართ არ გამოიყენება წახალისების ფორმები, ხოლო ამგვარი განგრძობითი ხასიათის წახალისების მანამდე არსებობის შემთხვევაში, მისი მოქმედება ჩერდება დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადით.
11. დისციპლინური სახდელის მოქმედების ვადის გასვლის ან ვადაზე ადრე მოხსნის შემთხვევაში, დისციპლინური სახდელი ქარწყლდება და ჩაითვლება, რომ დასაქმებულს ამგვარი სახდელი არ ჰქონია დაკისრებული.
12. დასაქმებულის მიმართ დისციპლინური წარმოება შეიძლება დაიწყოს დისციპლინური გადაცდომის ჩადენიდან ან დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტის გამოვლენიდან არაუგვიანეს 1 (ერთი) წლისა.

მუხლი 33. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრება

1. კომისიის მიერ გადაწყვეტილების გამოტანიდან და მისი დაინტერესებული პირებისათვის გაცნობიდან 10 (ათი) სამუშაო დღის ვადაში, თითოეულ პირს უფლება აქვს გაასაჩივროს გადაწყვეტილება.
2. გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, თითოეული პირი ვალდებულია მიუთითოს თუ რა ნაწილში არ ეთანხმება და ასაჩივრებს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებას, აგრეთვე, წარმოადგინოს თავისი პოზიცია ეთიკის კომისიის ფაქტობრივი გარემოებების დადგენისა და გადაწყვეტილების დასაბუთებასთან დაკავშირებით და ჩამოაყალიბოს მოთხოვნა.

მუხლი 34. საჩივრის განმილველი კომისიის შემადგენლობა დამტკიცება

1. კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების შემთხვევაში, აკადემიური საბჭო ამ კოდექსით დადგენილი წესით ამტკიცებს ეთიკის კომისიის ახალ შემადგენლობას (შემდეგში – „საჩივრის განმხილველი კომისია“), რომელშიც უნდა შედიოდეს არანაკლებ 5 (ხუთი) წევრი, რომელთაგან არანაკლებ 2 (ორი) წევრს უნდა წარმოადგენდეს სტუდენტური თვითმმართველობის პრეზიდენტის მიერ წარმოდგენილი სტუდენტური თვითმმართველობის დელეგატები ან სასწავლო უნივერსიტეტის სხვა სტუდენტები, ხოლო 3 (სამი) წევრს უნდა წარმოადგენდეს სასწავლო უნივერსიტეტთან სამართლებრივი კავშირის არმქონე საგანმანათლებლო სივრცეში მიუკერძოებლობით გამორჩეული დამოუკიდებელი მესამე პირები.
2. საჩივრის განმხილველი კომისიის მიმართ სრულად მოქმედებს ამ კოდექსით დადგენილი წესები ეთიკის კომისიის შემადგენლობის დამტკიცებასთან და მისი წევრების სამართლებრივი სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებული მოთხოვნები, ამავდროულად, ახალი კომისიის შემადგენლობაში დაუშვებელია შედიოდეს ის პირები, რომლებიც ჩართულნი იყვნენ გადაწყვეტილების მიღების პროცესში ან/და იმყოფებიან სასწავლო უნივერსიტეტთან შრომითსამართლებრივ ურთიერთობაში.

მუხლი 35. საჩივრის განხილვისა და გადაწყვეტილების მიღების წესი

1. ახალი შემადგენლობით დამტკიცებული ეთიკის კომისია საქმიანობას ახორციელებს და გადაწყვეტილებას იღებს ეთიკის კომისიისათვის დადგენილი წესითა და ფარგლებით, გარდა ამ მუხლით დადგენილი გამონაკლისებისა.
2. საჩივრის განმხილველი კომისია საქმეს განიხილავს წარმოდგენილი საჩივრით დადგენილი მოთხოვნის ფარგლებში, საქმეში არსებული მტკიცებულებების საფუძველზე, დაინტერესებულ მხარეებთან ზეპირი გასაუბრების გარეშე.
3. საჩივრის განმხილველი კომისია უფლებამოსილია დაინტერესებულ მხარეებს მისცეს დამატებითი მტკიცებულებების წარმოდგენის უფლება ან/და სრულად გამოიყენოს ამ კოდექსის 31-ე მუხლით დადგენილი დისციპლინური წარმოების წესით გათვალისწინებული უფლებამოსილებები, თუ ეთიკის კომისიის მიერ დაინტერესებულ მხარეს დაუსაბუთებლად არ მიეცა მტკიცებულების წარმოდგენის უფლება ან/და გადაწყვეტილება გამოტანილია საქმისათვის არსებითი გარემოებების გამოკვლევისა და ურთიერთშეჯერების გარეშე.
4. საჩივრის განხილვის საფუძველზე, კომისია უფლებამოსილია მიიღოს ერთ-ერთი შემდეგი გადაწყვეტილება:
   ა) საჩივრის დაკმაყოფილებაზე უარის შესახებ;
   ბ) საჩივრის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ;
   გ) საჩივრის სრულად დაკმაყოფილების შესახებ.
5. საჩივრის განმხილველი კომისიის გადაწყვეტილების შესაბამისად, განისაზღვრება ეთიკის კომისიის მიერ მიღებული გადაწყვეტილების სამართლებრივი შედეგები. ამავდროულად, საჩივრის განმიხლველი კომისიის გადაწყვეტილება არ უნდა გასცდეს 32-ე მუხლით დადგენილ დისციპლინური სახდელის სახეებსა და მათი მოქმედების ვადებს.
6. საჩივრის განმხილველი კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა და არ ექვემდებარება გასაჩივრებას.

მუხლი 36. დისციპლინური წარმოების კონფიდენციალობა

1. დისციპლინური წარმოების პროცესი, მათ შორის ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრების განხილვის ეტაპი, კონფიდენციალურია, ხოლო ეთიკის კომისიის სხდომები დახურული.
2. დისციპლინურ წარმოებაში მონაწილე ყველა დაინტერესებული პირის მოთხოვნის შემთხვევაში, ეთიკის კომისიის სხდომები ტარდება საჯაროდ.
3. ეთიკის კომისიისა და საჩივრის განმხილველი კომისიის საბოლოო გადაწყვეტილებების საჯაროდ გამოქვეყნება დასაშვებია, თუ უზრუნველყოფილია პირადი მონაცემების დაცულობა და შეუძლებელია, მოცემული გადაწყვეტილების გამოქვეყნების შედეგად პირის იდენტიფიცირება.

თავი VI. დასკვნითი დებულებები

მუხლი 37. ეთიკის საბჭო

1. სასწავლო უნივერსიტეტში ეთიკის კოდექსით გათვალისწინებული ქცევის ეთიკური სტანდარტების დანერგვის, განვითარებისა და მათი ეფექტიანი განხორციელების მიზნით იქმნება ეთიკის საბჭო.
2. ეთიკის საბჭოს უფლებამოსილებები, შემადგენლობა და მის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა საკითხები განისაზღვრება სასწავლო უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით.

მუხლი 38. დებულებაში ცვლილებისა და დამატების შეტანის წესი

1. ეთიკის კოდექსში ცვლილების ან/და დამატების ან/და ახალი რედაქციის დამტკიცების უფლება აქვს აკადემიურ საბჭოს.
2. ეთიკის კოდექსში ცვლილების ან/და დამატების ან/და ახალი რედაქციის დამტკიცებისას, აკადემიური საბჭო უზრუნველყოფს განსახილველ საკითხებთან მიმართებით სასწავლო უნივერსიტეტის ყველა იმ ორგანიზაციულ-სტრუქტურული ერთეულების ჩართულობას, რომელსაც ეხება ცვლილებები.